EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

ჯ.ი. ხორვატიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 35898/16)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის საკასაციო სასამართლოს

თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

8 სექტემბერი, 2022 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ჯ.ი. ხორვატიის წინააღმდეგ

35898/16

გადაწყვეტილება

8.9.2022 [სექცია I]

მე-3 მუხლი

ეფექტიანი გამოძიება

არაეფექტიანი გამოძიების ჩატარება მოძალადე მამის მხრიდან განხორციელებული სიცოცხლის მოსპობის სავარაუდო მუქარის თაობაზე, გაუპატიურების დაუცველი მსხვერპლის მიმართ, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით: *დარღვევა.*

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის მამა - ბ.ს., გაასამართლეს და დააპატიმრეს გაუპატიურებისა და ინცესტის არაერთი ეპიზოდის ბრალდებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დროს, ის, სავარაუდოდ, მოკვლით დაემუქრა განმცხადებელს, ნათესავების მეშვეობით. განმცხადებელი პოლიციას რამდენჯერმე დაუკავშირდა, მათ შორის, მას შემდეგ, რაც მან ბ.ს. ავტოსადგურზე ნახა. შემთხვევის ადგილზე პოლიცია ჩაერია, მაგრამ შემდგომი ქმედებები აღარ განხორციელებულა. განმცხადებელი დავობდა პოლიციის ქმედებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარდა მთლიანობაში წარუმატებელი შიდა გამოძიება და ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი საჩივარი.

სამართლებრივი შეფასება

მე-3 მუხლი:

(ა) დაექვემდებარა თუ არა განმცხადებელი მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას - განმცხადებელი იყო ბოშა წარმოშობის, ტრავმირებული ახალგაზრდა ქალი, რომელმაც მანამდე გადაიტანა ფიზიკური ტანჯვა და გადაჭარბებული ფსიქოლოგიური ტრავმა. სასამართლოს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ბ.ს.-ს მხრიდან შევიწროვებისა და სამაგიეროს გადახდის შიში, რომელიც განმცხადებელს მისი სიცოცხლის მოსპობის არაპირდაპირი მუქარის გამო წარმოეშვა, იყო რეალური და ინტენსიური. იმ შფოთვასთან და უძლურების განცდასთან ერთად, რომელიც მან განიცადა ამ გარემოებებში, სასამართლომ დაასკვნა, რომ მან განიცადა არაადამიანური მოპყრობა მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

(ბ) შეასრულა თუ არა ხელისუფლებამ მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები - განმცხადებელი სამჯერ დაუკავშირდა პოლიციას და აცნობა მათ ბ.ს.-სგან სერიოზული მუქარის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ეკისრებოდა განმცხადებლის სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხის შესახებ ბრალდებების გამოძიების ვალდებულება, არცერთ შემთხვევაში არ დაუწყიათ სათანადო სისხლის სამართლის გამოძიება, რაც მათ ეროვნული კანონმდებლობით მოეთხოვებოდათ.

- სასამართლომ ვერ შეძლო გაეკეთებინა დასკვნა, განმცხადებელმა ნათლად განაცხადა თუ არა პირველი შემთხვევის დროს, რომ ბ.ს. მას სიცოცხლის მოსპობით სერიოზულად დაემუქრა, როდესაც მან სასწრაფო დახმარებას დაურეკა.

- მეორე შემთხვევის დროს, როდესაც ავტობუსის სადგურზე პოლიცია ჩაერია, პოლიციის შესაბამის ოქმში ცხადად იყო გადმოცემული, რომ განმცხადებელს ბ.ს. მოკვლით დაემუქრა. ეროვნული კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საჩივრის წარდგენისთვის რაიმე კონკრეტული ფორმის მოთხოვნა არ არსებობდა, იქნებოდა ეს ზეპირად, თუ წერილობით. პოლიცია კანონის საფუძველზე ვალდებული იყო, ჩაეტარებინა გამოძიება, როდესაც შეიტყო შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლისთვისაც დევნა განხორციელდა *ex officio*. ოჯახის წევრის მხრიდან სერიოზული მუქარა, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს და რომლის მიმართაც დევნა უნდა განხორციელებულიყო *ex officio*, პოლიციას, სულ ცოტა, გამოძიება მაინც უნდა დაეწყო განმცხადებლის ბრალდებებთან დაკავშირებით. პოლიციას ასევე მოეთხოვებოდა, კომპეტენტური სახელმწიფო საპროკურორო სამსახურისთვის ეცნობებინა სისხლის სამართლის გამოძიების შედეგები. უფრო მეტიც, მაშინაც კი, თუ ხელისუფლება დაასკვნიდა, რომ განმცხადებლის ბრალდებები ეხებოდა კერძო ბრალდების სისხლის სამართლის დანაშაულს ან თუ გასაჩივრებულ ქმედებებს არ ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულის მახასიათებლები, პოლიციას უნდა ეცნობებინა განმცხადებლისთვის აღნიშნულის შესახებ.

- განმცხადებელი მესამედ დაუკავშირდა პოლიციას მისი ადვოკატის მიერ შედგენილი წერილით, სადაც დავობდა პოლიციის მიერ მისი საჩივრების რეაგირების გარეშე დატოვების გამო და სთხოვდა მათ, მიეღოთ ადეკვატური ზომები მისი სიცოცხლის დასაცავად. განმცხადებელმა პირდაპირ მოითხოვა, რომ მისი საჩივარი, ბ.ს.-ს მიერ სავარაუდო სერიოზული მუქარის შესახებ, გადაგზავნილიყო კომპეტენტურ სახელმწიფო პროკურორთა სამსახურში, რაც არ მომხდარა. სამაგიეროდ, მისი წერილი აღქმული იყო, როგორც უბრალო საჩივარი პოლიციის მუშაობის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა შიდა მოკვლევა.ს

განმცხადებლის საჩივარი, რომ პოლიციის ზემოაღნიშნული საქციელი იყო მისი ბოშა ეთნიკური წარმომავლობის გამო, არ იყო დასაბუთებული. მიუხედავად ამისა, ისეთ საქმეში, როგორიც არის წინამდებარე საქმე, სადაც ხელისუფლებამ კარგად იცოდა მომჩივნის განსაკუთრებული დაუცველობა მისი სქესის, ეთნიკური წარმომავლობისა და წარსულში მიღებული ტრავმების გამო, მათ დაუყოვნებლივ და ეფექტურად უნდა მოეხდინათ რეაგირება საჩივრებზე, რათა დაეცვათ განმცხადებელი მუქარის განხორციელებისაგან, ასევე დაშინების, შურისძიებისა და განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ბ. ს.-ს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა საბოლოო ჯამში არ გაგრძელებულა და იგი გაძევებულ იქნა ხორვატიიდან მისი გათავისუფლებისთანავე, არ შეიძლება უგულებელვყოთ ის, რომ პოლიციას არასოდეს დაუწყია გამოძიება, რომ აღარაფერი ვთქვათ განმცხადებლის ბრალდებების შესახებ სერიოზული გამოძიების არარსებობაზე, მანამ, სანამ განაცხადი გადაეცემოდა მოპასუხე

მთავრობას. ხელისუფლებას ასევე არასოდეს ჰქონია სერიოზული მცდელობა, განეხილა განმცხადებლის საქმე მთლიანობაში, მათ შორის ოჯახში ძალადობის ჭრილში, რომელსაც იგი ადრე დაექვემდებარა და რაც საჭირო იყო ამ ტიპის საქმეში.

ამრიგად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო განეხორციელებინა ეფექტიანი გამოძიება გაუპატიურების განსაკუთრებით დაუცველი მსხვერპლის ბრალდებასთან დაკავშირებით, რაც მისი სიცოცხლისთვის შექმნილ სერიოზულ საფრთხეს შეეხებოდა.

დასკვნა: დარღვევა (6 ხმით 1-ის წინააღმდეგ)

41-ე მუხლი: 12000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

(იხ. აგრეთვე ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ, 41261/17, 2019 წლის 9 ივლისი, სამართლებრივი შეჯამება; ტურნიკოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, 55974/16, 2021 წლის 14 დეკემბერი, სამართლებრივი შეჯამება).